პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალგაზრდა სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტისა და პროფკომის ორგანო

Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ и профкома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მერვე წელი

№ 26 (267)
პარასკევი, 30 ოქტომბერი 1959 წ.
ფასი 20 კაპ.

## უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის XIX კონფერენცია

16 ოქტომბერს სააქტო დარბაზში ჩატარდა უნივერსიტეტის კომკავშირული ორგანიზაციის XIX კონფერენცია, რომელზეც განვლილ საანგარიშო პერიოდში ალკკ კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ა. სანებლიძემ. თავის მოხსენებაში მან ანალიზი გაუკეთა ორგანიზაციის მუშაობაში არსებულ წარმატებებსა და ნაკლოვანებებს, ხაზგასმით აღნიშნა სამი ძირითადი მომენტი ჩვენს კომკავშირულ ცხოვრებაში: 1) საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან სწავლის პროცესის შეხამების კონკრეტული ფორმების გამონახვა და დანერგვა; 2) ამხანაგური სასამართლოების შემოღება და გამოყენება, 3) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ბრძოლის გაძლიერება.

მომხსენებელმა აღნიშნა ის დიდი გარდატეხა, რომელიც ამ სამი მომენტის ცხოვრებაში გატარებით სტუდენტის, კომკავშირელის შეგნებაში მოხდა. ესაა ის ძირითადი, რაც განასხვავებს კომიტეტის მიერ ჩატარებულ მუშაობას ადრინდელი მუშაობისაგან, მაგრამ საქმე ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ყველაფერი უკვე რიგზეა. ეს ახალი ცდაა, და, ბუნებრივია, მას ჯერ კიდევ ბევრი რამ ესაჭიროება. მაგ., შესანიშნავ ინიციატივას, რომელიც ფილოლოგიის ფაკულტეტის ალკკ ბიურომ წამოიწყო (მდივანი ამხ. ზ. მეძველია), ფაკულტეტზე შრომითი ბრიგადის შექმნის შესახებ (ბრიგადირი რ. ბასილაშვილი), ჯერ კიდევ ყველა ფაკულტეტი არ გამოხმაურებია. ეს კი ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში დგას.

მაღალი აკადემიური მოსწრებისათვის ბრძოლა კომკავშირის ღვიძლი საქმეა. უნდა აღვნიშნოთ კომიტეტის ისეთი მისასალმებელი ღონისძიება, როგორიცაა კომკავშირული რეიდები ლექცია-სემინარებზე სტუდენტთა დასწრების შემოწმების მიზნით. ლექციების უმიზეზოდ გაცდენების მთლიანად აღმოფხვრა შეუძლებელი აღმოჩნდა. აკადემიური ჩამორჩენილობის გამო უნივერსიტეტიდან გაირიცხა 44 სტუდენტი, ხოლო იმავე კურსზე იქნა დატოვებული 75. როგორც ჩანს, მუშაობა ამ მხრივ ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი არ არის.

დამაკმაყოფილებელი ვერ არის სააგიტაციო და პროპაგანდისტული მუშაობაც.

მომხსენებელმა ილაპარაკა კომკავშირული აქტივის, როგორც კომკავშირულ მუშაობაში გადამწყვეტი ძალის შესახებ. ჩვენ,—განაგრძობს მომხსენებელი, — ცალკეულ კურსებზე, ზოგჯერ ფაკულტეტებზეც, ბიუროებში გვყავს შეუფერებელი ამხანაგები, რომლებსაც მუშაობა ჩაშლამდე მიჰყავთ. საჭიროა, სათანადო ყურადღება დაეთმოს აქტივის შერჩევას. ჩვენ გვყავს აქტივისტები, რომლებიც სწავლის წარჩინებულებიც არიან და საზოგადოებრივი საქმიანობის ენთუზიასტებიც.

მოხსენებამ ცხოველი კამათი გამოიწვია. მასში მონაწილეობა მიიღეს ისტორიის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანმა რ. სვანიძემ და პარტბიუროს მდივანმა ზ. შველიძემ, ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის ალკკ ბიუროს მდივანმა ნ. თამარაზოვამ, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივანმა ჰ. მელაძემ, სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ალექსიძემ, სტუდენტთა პროფკომის თავმჯდომარის მოადგილემ ა. მელიქიძემ, ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ კ. ზაუტაშვილმა. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა თსუ რექტორი აკად. ე. ხარაძე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქ. ალკკ ცკ-ის მდივანმა ამხ. თ. ბადურაშვილმა.

კონფერენციამ აირჩია ახალი კომიტეტი 13 ამხანაგის შემადგენლობით: მდივანი ა. სანებლიძე. განთავისუფლებული მოადგილე დ. წაქაძე, მოადგილეები: რ. მეტრეველი, ნ. ქავთარაძე, წევრები ლ. ბერიძე, კ. კვაჭანტირაძე, ნ. კაჭარავა, ლ. კავილაძე, ა. ალექსიძე, კ. ზაუტაშვილი (ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე), ო. გოგოლინი, ა. სილაგაძე, გ. გამსახურდია.

კონფერენციამ აირჩია დელეგატები საქართველოს ალკკ თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის სახელობის 39-ე რაიონულ კონფერენციაზე გასაგზავნად.



სურათზე: ქიმიის ფაკულტეტის II კურსის IV ჯგუფის სტუდენტები თვისებითი ანალიზის ლაბორატორიაში ასრულებენ დამოუკიდებელ პრაქტიკულ სამუშაოებს.

ფოტო ა. გემჯიანისა

## გამსვლელი სამეცნიერო სესია

24 ოქტომბერს ჩვენი უნივერსიტეტის დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრამ ქარელის რაიონულ ცენტრში რაიონის აქტივისათვის ჩაატარა გამსვლელი სამეცნიერო სესია თემაზე — „სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის კანონზომიერებათა შესახებ“. სესიაზე მოსმენილი იქნა შემდეგი მოხსენებები: „სკკპ XXI ყრილობა—ახალი ეტაპი მარქსისტულ-ლენინური თეორიის განვითარებაში“ (მომხსენებელი დოც. ს. ლარცულიანი), „კომუნისტური საზოგადოების ორი ფაზის შესახებ“ (მომხსენებელი დოც. ბ. ლუტიძე), „რელიგიური გადმონაშთების დაძლევის მნიშვნელობა სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლისათვის ბრძოლაში“ (მომხსენებელი დოც. ს. სახაროვი), „თანამედროვე რევიზიონიზმის კრიტიკა“ (მომხსენებელი დოც. ა. გონაშვილი).

სესიაზე მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კათედრის დოცენტებმა—ბ. კარტოზიამ და ვ. კალანდარიშვილმა.

აღნიშნული მოხსენებები დამსწრე საზოგადოებამ ინტერესით მოისმინა.

## ი. გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო

15 ოქტომბერს სტუდენტთა ქალაქის კლუბში სტუდენტთა საბჭოსა და კლუბის გამგეობის ინიციატივით მოეწყო გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის, ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო მკვლევარის, საქართველოს სსრ სახალხო პოეტის — იოსებ გრიშაშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო.

საღამო გახსნა სტუდქალაქის სტუდენტთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბ. ბარამიამ.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი მიხეილ შუბითიძე.

მოხსენება — იოსებ გრიშაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ წაიკითხა უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა ლამარა მემარნიშვილმა.

იუბილარს სიტყვებითა და საკუთარი ლექსებით მიმართეს ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა — შოთა კონსტანტინიდიმ, გიორგი შეთეკაურმა, ჯუმბერ თითმერიამ, გურამ ბაიდოშვილმა, ლილი ცხოვრებაძემ, ელისო აჯიმამედოვამ.

ბოლოს იუბილარმა, საქართველოს სახალხო პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა მხურვალე მადლობა გადაუხადა საღამოზე დამსწრე სტუდენტ ახალგაზრდობას გულთბილი შეხვედრისათვის და წაიკითხა თავისი რამდენიმე ლექსი.

საღამოს მეორე განყოფილებაში გაიმართა დიდი კონცერტი თბილისის მასწავლებლის სახლის თვითმოქმედი კოლექტივების ძალებით.

**მედეა დავითური,**
მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი.

## სკკპ ისტორიის სემინარზე



კომუნისტური პარტიის ისტორიის შესწავლას დიდი მონდომებით ეკიდებიან ეკონომიური ფაკულტეტის II კურსის მრეწველობის ეკონომიკის ჯგუფის სტუდენტები. ისინი მომზადებული მოდიან და აქტიურად მონაწილეობენ სემინარებზე. საგნის ხელმძღვანელის დოც. ლ. ებანოიძის მიერ დასმულ კითხვებზე სტუდენტთა უმეტესობა ამომწურავ პასუხს იძლევა. ისინი სახელმძღვანელოსთან ერთად სათანადო დამხმარე ლიტერატურასაც ამუშავებენ ჩვენი პარტიის ისტორიის შესასწავლად. სემინარული მეცადინეობის დროს დასმული ამა თუ იმ საკითხის გარშემო იმართება კამათი, აზრთა გაცვლა, რომელიც კიდევ უფრო უწყობს ხელს სტუდენტთა დაინტერესებას ამ საგნის შესწავლისადმი.

თითოეული ჩვენგანის მიზანია ვისწავლოთ კარგად, რათა ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ისტორია მაღალ ნიშანზე ჩავაბაროთ.

**შ. გოგია,**
ეკონომიური ფაკ. II კ. სტუდენტი.

**სურათზე: სკკპ ისტორიის სემინარი ეკონომიური ფაკულტეტის მრეწველობის ეკონომიკის სპეციალობის II კურსის I ჯგუფში. საგნის მასწავლებელ დოც. ლ. ებანოიძეს პასუხობს სტუდენტი ს. დიაკონიძე.**

ფოტო გ. გაბუნიასი

## პირველი სემინარული მეცადინეობა

სხვა დისციპლინებთან ერთად პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლიანი დაუფლება ეკონომიური ფაკულტეტის სტუდენტთა მთავარი ამოცანაა.

ეს იმთავითვე გაითვალისწინა ჩვენი კურსის თვითეულმა სტუდენტმა. და ამიტომაა, რომ ისინი დიდი ინტერესით ისმენენ ამ საგანში ლექციებს (ლექტორი—პროფ. ა. ფანცხავა). ვახდენთ სათანადო განმარტებებისა და დებულებების ჩაწერას.

ამ დღეებში სემინარიც დაგვეწყო ამ საგანში (სემინარის ხელმძღვანელი პროფ. ა. ფანცხავა). თემის დამუშავებისათვის საჭირო იყო სათანადო ლიტერატურის მონახვა, გეგმის შედგენა. ამ მხრივ სტუდენტებმა საჭირო დახმარება მივიღეთ პოლიტეკონომიის კაბინეტში. ყოველივე ამან ის განაპირობა, რომ ჩვენი ჯგუფის (I კურსი, ფინანსებისა და კრედიტების სპეციალობა) სტუდენტები მომზადებული მოვიდნენ სემინარზე.

კარგად იმსჯელეს თემის ცალკეულ საკითხებზე სტუდენტებმა: აბელ კებლაშვილმა, ემა ოთხოზორიამ, გურამ უსტიაშვილმა.

სემინარის ხელმძღვანელი კმაყოფილი დარჩა სტუდენტთა მსჯელობით თემის გარშემო.

ჩვენთვის, პირველკურსელებისათვის, ეს იყო პირველი სემინარული მუშაობა ამ საგანში. ვეცდებით ყოველთვის კარგი მომზადებული მოვიდეთ ყოველ შემდგომ მეცადინეობაზე.

**გივი კოკაია,**
ეკონომიური ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

## ენების სწავლების საკითხი პარტიულ კრებაზე

ამ დღეებში ჩატარდა ფილოლოგიის ფაკულტეტის პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელმაც განიხილა საკითხი ფაკულტეტის რუსულ სექტორზე ენების სწავლების მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა პროფ. ვ. ფანჩვიძემ და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს ენების სწავლების მნიშვნელობა მაღალკვალიფიციური ფილოლოგების მომზადების საქმეში. ფაკულტეტზე მომუშავე პროფესორ-მასწავლებლები დიდ შრომას ეწევიან იმისათვის, რომ სტუდენტმა სწავლის პროცესში მიიღოს საჭირო ცოდნა და ჩვევები ამა თუ იმ ენაზე სათანადო ლიტერატურის გამოყენების საქმეში.

კამათის მონაწილეებმა—პროფ. პ. ბერაძემ, დოც. დ. მგელაძემ, დოც. ნ. კეჭეყმაძემ, დოც. პ. ხუბუტიამ და სხვებმა ილაპარაკეს აგრეთვე რიგ ხელისშემშლელ გარემოებებზე ენების სწავლების საქმეში.

პროფ. პ. ბერაძემ განაცხადა, რომ, მიუხედავად საკითხის მრავალჯერ შესწავლისა და დაპირებებისა, კლასიკური ფილოლოგიის კათედრას კაბინეტი კი არა, კუთხეც არ გააჩნია სტუდენტებთან სამუშაოდ, ახობით წიგნი უადგილობის გამო ისეა „შენახული“, რომ მისი ყოველდღიური გამოყენება შეუძლებელია.

დოც. ნ. კეჭეყმაძემ სიამოვნებით აღნიშნა, რომ საღამოს განყოფილების სტუდენტები, მიუხედავად იმისა, რომ ლექციებზე მოდიან შრომაში გატარებული დღის შემდეგ, გულისყურითა და ინტერესით მეცადინეობენ. ცუდია მხოლოდ ის, რომ ჯგუფები ძლიერ დიდია. ზოგჯერ ჯგუფში მსმენელთა რაოდენობა სამოცამდე კაცს აღწევს. ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელია ყოველ სტუდენტს სათანადო ყურადღება მიაქციო.

დოც. პ. ხუბუტიამ აღნიშნა, რომ ქართული ენის სწავლებას რუსულ განყოფილებაზე საგრძნობლად უშლის ხელს სახელმძღვანელოებისა და სავარჯიშოების კრებულის უქონლობა.

დოც. თ. მრევლიშვილმა, დოც. მ. ბაისაგოლოვამ და სხვებმა ილაპარაკეს უცხო ენების სწავლებისას მშობლიური ენის გამოყენების მიზანშეწონილობისა და ფარგლების მეტად საინტერესო საკითხზე.

კრებამ მიიღო დადგენილება, რომლის განხორციელებაც ხელს შეუწყობს ფაკულტეტზე ენების სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას.

**გ. წიგაბაშვილი.**

# 300 წლის იუბილე



## სულხან-საბა ორბელიანი

ახლახან ქართველმა ხალხმა სიყვარულითა და სიხარულით აღნიშნა ცნობილი ქართველი მწერლისა და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი. ეს იუბილე არსებითად ქართული კულტურის დიდებული დღესასწაული იყო.

სულხან-საბა ორბელიანი დიდი ქართველი მოაზროვნე და მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატია. მისი შემოქმედება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. საბა, სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილი, იყო იგავ-არაკული ჟანრის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების პირუთვნელი მამხილებელი, მხატვრული პროზის უბადლო ოსტატი, დოკუმენტური პროზის ფუძემდებელი, ქართული ლექსის რეფორმატორი და ნოვატორი, უებრო ლექსიკოლოგი და მეცნიერ-რედაქტორი.

სულხან-საბა ორბელიანი უძლიერეს ქართველ ფეოდალთა შთამომავალია. მამის მხრივ იგი უკავშირდება ბარათაშვილ-ორბელიშვილთა უძველეს გვარეულობას, დედის მხრივ—არაგვის ერისთავთა სახელგანთქმულ სახლს. მისი ოჯახი ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური ოჯახი იყო ქართლში. ის ახლო კავშირში იყო სამეფო კართან და აქტიურად იყო ჩაბმული ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიურ ცხოვრებაში.

სულხან-საბა ორბელიანი დაიბადა 1658 წლის 24 ოქტომბერს (ახალი სტილით — 3 ნოემბერს) ქვემო ქართლში, სოფ. ტანძიაში. მამამისი, ვახტანგ ორბელიანი გავლენიანი თავადი, დაწინაურებული მოხელე და ცნობილი ბიბლიოფილი იყო. მისი ოჯახი დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელი იყო. იქ აღზრდილი ზოგიერთი პირი ქართული კულტურულ-შემოქმედებითი ფრონტის თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა.

მომავალ სახელოვან მწერალსა და ხწორუპოვარ ლექსიკოლოგს მიუღია ენციკლოპედიური განათლება, საფუძვლიანად შეუსწავლია მეცნიერების სხვადასხვა დარგი, ღრმად დაუფლებია ღვთისმეტყველებასა და ფილოსოფიას, ხათანადოდ შეუთვისებია ბუნებისმეტყველება, მაგრამ განსაკუთრებით ფილოლოგიას დახწაფებია.

ღრმად განსწავლული სულხან-საბა ორბელიანი აქტიურად ჩაება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი უანგარო საზოგადო მოღვაწე, სამშობლოსათვის თავდადებული მებრძოლი და მგზნებარე პატრიოტი იყო. მთელი მისი ცხოვრება ქართველთა კეთილდღეობისათვის გაუთავებელ ბრძოლას წარმოადგენდა.

სულხან-საბამ ერთობ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, მისი გავლენა სამეფო კარს გასცდა; ერთი უცხოელის ცნობით, იგი „მთელ საქართველოს მამად მიაჩნდა".

მამულისათვის თავგანწირული და მოძმეთა სიყვარულით გულანთებული სულხან-საბა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სამშობლოს საქმეთა მოგვარებაზე ზრუნავდა. როდესაც ქართლის მდგომარეობა გართულდა და სპარსელთა მოძალების გამო ქართველ მამულიშვილებს აქ აღარ ედგომებოდათ, ქართლის მეფე ვახტანგ VI რუსეთს გაემგზავრა. მას თან ახლდა სულხან-საბა ორბელიანიც. მრავალჭირნახულმა და თავდადებულმა სახელმწიფო მოღვაწემ სწორად განსაჯა ვახტანგის მოქმედება და შორეულ ჩრდილოეთში წაჰყვა მას. სულხან-საბას ნათლად ჰქონდა გააზრებული არსებული ვითარება. მას კარგად ესმოდა, რომ რუსეთთან კავშირზე იყო დამოკიდებული საქართველოს მომავალი ცხოვრება. ევროპაში ყოფნამ სულხან-საბა დაარწმუნა, რომ რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველო ეხსნა სპარს-ოსმალთა თარეშისაგან.

სულხან-საბა ორბელიანი ფრიად ნაყოფიერი მწერალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი „ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო", მაინც პოულობდა დროს მხატვრულ-ლიტერატურული და ფილოლოგიური მუშაობისათვის. ღრმა ცოდნით, ენციკლოპედიური განათლებითა და საქმის სიყვარულით სულხან-საბა ორბელიანმა უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურულ-ლიტერატურული საგანძური შექმნა. მისი შემოქმედებითი ძალა განუზომელია.

სულხან-საბა ორბელიანის ფასდაუდებელი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა „სიბრძნე სიცრუისა". ეს უკვდავი წიგნი უქკნობი შარავანდედით მოსავს უბადლო იგავთმწერლის სახელს. „სიბრძნე სიცრუისა" იმთავითვე შევიდა ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში და საკმაოდ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

„სიბრძნე სიცრუისა" დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებია. ავტორის იდეალს არსებული წყობილების გამოჯანსაღება, ზნეობრივად დაავადებული საზოგადოების განკურნება წარმოადგენს.

„სიბრძნე სიცრუისა" ქართული მხატვრული ლიტერატურის ბრწყინვალე შედევრს წარმოადგენს. სულხან-საბა ორბელიანს მხოლოდ ეს თხზულება რომ დაეწერა, ამითაც დიდად საპატიო ადგილს დაიჭერდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

მხატვრული პროზის დიდებული ოსტატი დოკუმენტური პროზის ფუძემდებლის როლში გამოდის. მისი მემუარული თხზულება „მოგზაურობა ევროპაში" ქართული დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშია.

სულხან-საბა ორბელიანი დახელოვნებული მქადაგებელი იყო. მისი „სწავლა-მოძღვრებანი" ქართული ჰომილეტიკური მწერლობის შესანიშნავი ძეგლია. ავტორი ქარბად გვაცნობს თავის განცდებს და სახელმწიფოს შელახული ღირსების აღდგენისაკენ მოუწოდებს თანამემამულეებს.

სულხან-საბა ორბელიანი მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი და სიტყვაკაზმული მწერლობის სახელოვანი წარმომადგენელია. მან საყოველთაოდ გაბატონებული პოეზიის გვერდით წამოსწია და აამაღლა ქართული მხატვრული პროზა.

მხატვრულ-დოკუმენტური პროზის გვერდით სულხან-საბა ორბელიანს გააჩნია საკმაოდ მაღალნიჭიერად დაწერილი პოეტური ქმნილებანი.

დიდი შემოქმედი გაწაფული რედაქტორიც იყო. „ქილილა და დამანას" სულხან-საბასეული რედაქცია შესანიშნავად გამართული და რედაქტირებულია.

სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობიდან განსაკუთრებით გამოირჩევა მისი „სიტყვის კონა"—ქართული ენის ულევი ლექსიკური მარაგის ამსახველი შრომა. ესაა დიდი მუშაობის ბრწყინვალე შედეგი, ხანგრძლივი საქმიანობის ფრიად სასახელო ნაყოფი.

სულხან-საბა ქართული ენის გენიაა. მისი ლექსიკონი ქართული სიტყვიერი საუნჯის ულევი არსენალია.

სულხან-საბა ორბელიანმა გააძლიერა და განამტკიცა ქართული ენის ეროვნულ-ხალხური საფუძვლები. მისი ენა ხალხურ-სასაუბროა, მკაფიო, ნათელი და მარტივია, მოქნილი და დახვეწილია. აზრი სხარტად და მკაფიოდაა გადმოცემული, შეკუმშული და დაწურული. გამოთქმა მოკვეთილი და ამომწურავია. მეტყველება ლაკონურია. სიტყვა ნაჭედია, კარგად შერჩეული, მოფიქრებული და გააზრებული.

სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება ქართული კულტურის წინაშე განუზომელია. მან კიდევ უფრო მეტად გაამდიდრა და წინ წასწია ძველი ქართული კულტურა, დიდი წვლილი შეიტანა ეროვნული კულტურის თვითმყოფობისა და წინსვლისათვის ბრძოლის საქმეში.

უაღრესად ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინა სულხან-საბა ორბელიანის კულტურულ-ლიტერატურულმა მემკვიდრეობამ ქართული მწერლობის განვითარებაზე. მისი გავლენა ცხოვლად შეინიშნება საბჭოთა ხანაშიც. ქართული საბჭოთა მწერლობა, ჩვენი თანამედროვეობა დიდად აფასებს ღვაწლმოსილი მწერლის უბერებელ და უკვდავ შემოქმედებას.

## მეთვრამეტე საუკუნის ქართველი მოღვაწენი სულხან-საბას შესახებ

**ვახტანგ VI:**

„სიტყვის კონაზე" მინაწერები:

I

„რადგან დაშვრა ასრე საბა,
ქება მმართებს აწლა მეცა,
შეუყრია მრავლად სიტყვა,
რა ვიხილე, სიბრძნე მეცა;
სად ვნახევდი ასრე კრებით,
ქვეყნად მევლო გინდა მე ცა
საქმით სცანით, თუ ვისწავლი,
ვით ვინაღვლი კიდეც მეცა".

II

„სიყრმითგან იყო მუდამად
სიბრძნის სწავლისა მხახველი,
სამოცდაექვს წელს იკითხა,
სთქვა: „ვერასი ვარ მმარხველი".
იარა ბევრი ქვეყანა,
ბევრისაც იყო მნახველი,
ორბელიანმან საბამან
სახელითა ქმნა სახელი".

**მარიამ-მაკრინე ბაგრატიონი:**

ეს ლექსიკონი, გულსა ვიკონი,
ამის ხილვითა სიბრძნე ვიკონი.

ვინ სიბრძნე უწყის, რათ არ იკონის,
მე რაღას ვყოვნი, ვით არ ვიკონი.

**ნიკოლოზ ორბელიანი:**

სულხან-საბა არს საქებელ,
ისტორიკოს, გინა ბრძენად,
ფილოსოფოსთ ყოფაქცევით
სრული იყო განაბრძენად,
მან შეჰკრიბა კონა ლექსთა,
ამით ჰსცანით იგი ბრძენად,
ნურვინ ჰკადრებთ სიჯორჯეხა,
ნუცა სძრახავთ არა-ბრძენად.

ოცდაათ წელთ იშრომა,
მან ძლივ შეაწყო ესები,
განჰკარგა ქართველთ სამეცნოდ
ლექსთ ცნობა, გინა წესები,
ლექსთ ხვავი ჰკრიბა არნადით,
ვითა აქა ჰსჩანს ესები,
ამით ჰგავს, რომელ მას უხვამს
ფიალნი, სიბრძნის წესები.



სურათზე: დიდი ქართველი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ბიუსტის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში.

ფოტო ზ. რუსიასი

# მწერალი და საზოგადო მოღვაწე 300

## სულხან-საბა ორბელიანი—გეოგრაფი და კარტოგრაფი

სულხან-საბამ დიდი ღვაწლი დასდო ქართული გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის განვითარებას. მისი „სიტყვის კონა“ ცოდნის ნამდვილი ენციკლოპედიაა, მასში ახსნილია ბევრი გეოგრაფიული ტერმინი, მოცემულია 234 ქვეყნისა და დასახლებული პუნქტის კოორდინატი.

„სიტყვის კონის“ შესწავლა ადასტურებს, რომ სულხან-საბამ თავისი შრომისათვის დიდძალი მასალა მოიპოვა ევროპაში მოგზაურობის დროს. მას ხელთ ჰქონდა რუსული წარმოშობის ზოგიერთი მასალა, გამოყენებული აქვს აგრეთვე ცნობილი უზბეკი ასტრონომის ულუგბეგის ასტრონომიული ცნობები და შრომა „ვარსკვლავთმცოდნეობა“, რომელიც ქართულად თარგმნა მისმა აღზრდილმა მეფე ვახტანგ VI-მ.

სულხანის მეორე შრომა — „მოგზაურობა ევროპაში“ უცხო ქვეყნების მხატვრულ-გეოგრაფიული აღწერის საინტერესო ცდას წარმოადგენს. ნაშრომში საბა იძლევა ვრცელ ცნობებს მოვლილი ქვეყნების, განსაკუთრებით საფრანგეთისა და იტალიის შესახებ. მრავალფეროვანია ავტორის დაკვირვებები და აღწერის ობიექტები — ესაა საკმაოდ საინტერესო გეოგრაფიული დახასიათება მხარეებისა და ქალაქებისა, მოსახლეობის საქმიანობისა და ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა, ბუნებისა, რელიგიური ობიექტებისა და ღირსშესანიშნავი ისტორიული ადგილებისა.

როდესაც საბა საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV-ს წარუდგა, მან დახმარება მოსთხოვა სპარსეთის წინააღმდეგ, ასეთი დახმარების სანაცვლოდ საბამ ვახტანგ VI-ის სახელით აღუთქვა, რომ ფრანგი ვაჭრები და მისიონერები დაუბრკოლებლივ ივლიან სატრანზიტო გზით საქართველოდან ირანსა და ინდოეთისკენ. ამასთან, საბამ მეფეს რუკა წარუდგინა, რათა მას წარმოდგენა ჰქონოდა იმ ქვეყნის შესახებ, რომელზეც ლაპარაკი იყო ვახტანგ VI-ის წერილსა და საბას თხოვნაში.

რუკაზე დატანილი წარწერა გვაცნობს შემდეგს:

„კასპიის ზღვის მიმდებარე ქვეყნების რუკა, შედგენილი მეფის საჭიროებისათვის. შედგენილია მეფის განკარგულებით ქართველი თავადის სოფკამ საბას ხელნაწერი მასალების მიხედვით, აგრეთვე სპარსეთის ელჩის კრუზიუსის, ზურაბეკის და ფაბრიციუსის მიერ, რომელთაც განმარტება მიიღეს ამ ქვეყნის მცოდნე მრავალი პირისაგან. შედარებულია ასტრონომიულ დაკვირვებებთან სამეფო მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფის გილომ დე-ლილის მიერ, 1723 წლის 15 აგვისტოს“.

ფრანგმა გეოგრაფმა დე-ლილმა კავკასიის რუკისათვის საფუძვლად აიღო საბას მიერ შედგენილი საქართველოს რუკა, აგრეთვე სპარსეთის საელჩოს თანამშრომლების მასალები სამხრეთ ტერიტორიების დასატანად. კასპიის ზღვისა და მთელი კასპიისპირეთის დასატანად კი გამოყენებულია რუსი კარტოგრაფის ვერდენისა და სიმონოვის კარტოგრაფიული მასალები. ყველა ამ მასალის გამოყენებით დე-ლილმა შეადგინა და ფრანგულ ენაზე გამოსცა კავკასიის რუკა 1723 წ., ხოლო ხელმეორედ—მისმა სიძემ ბუაშმა 1745 წ. ამ რუკაზე, უნდა ვიფიქროთ—საბას რუკის წყალობით, ყველაზე დეტალურადაა მოცემული საქართველოს ტერიტორია.

ამგვარად დე-ლილისათვის საბას ხელნაწერი მასალები იყო ერთად-ერთი მასალა საქართველოს რუკის შედგენისათვის.

რუკაზე საქართველოს ტერიტორიას გასდევს სადემარკაციო ხაზი სპარსეთისა (აღმოსავლეთ საქართველო) და ოსმალეთის (დასავლეთ საქართველო) გავლენის სფეროების აღნიშვნით. დატანილია საქართველოს თითქმის ყველა სამთავროსადროშოს ტერიტორია.

ისე როგორც ვახუშტის რუკებში, ამ რუკაზეც ყველაზე სრულად ქართლი არის ნაჩვენები და, რაც მთავარია, რუკაზე დატანილია ორბელიანის (საორბელოს) საგვარეულოს რეზიდენცია ტანძია, აგრეთვე ორბელიანთა საგვარეულო სამარხი ფიტარეთი. ტანძიისა და ფიტარეთის აღნიშვნა მით უფრო საინტერესოა, რომ რუკაზე სხვა სამთავროთა ფეოდალების ადგილსამყოფელები არ არის აღნიშნული.

აღნიშნული რუკა მალე ცნობილი გახდა ევროპის გეოგრაფ-კარტოგრაფებისათვის. როგორც ჩანს, სულხან-საბას კარტოგრაფიულმა ნაშრომმა მაღალი შეფასება მიიღო.

ჰამბურგის გეოგრაფიული მუზეუმის რექტორს იოჰან ჰიუბნერს შეგროვილი და აღწერილი ჰქონდა გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისისა და ჰოლანდიის მხარეების საუკეთესო რუკები (ლანდკარტები), რომლებიც შესრულებული (გრავირებული) იყო საუკეთესო ოსტატების მიერ. შეგროვილი რუკებით იოჰან ჰიუბნერმა შექმნა გეოგრაფიული მუზეუმი, აღწერა რუკები და აღწერილობა გამოსცა ცალკე წიგნად ჰამბურგში 1726 წელს. როგორ მოხვდა ჰამბურგის კოლექციაში გილომ დე-ლილის მიერ პარიზში 1723 წელს გამოცემული რუკა. იოანე ჰიუბნერი ამ რუკის შესახებ წერს:

„აღნიშნული რუკა გადმოღებულია (გრავირებულია) ჰოლანდიაში კოვენსისა და მორტიეს მიერ. სრულიად ახალი და ჩინებული რუკაა. მასში პირველადაა მოცემული კასპიის ზღვა ისეთი სახით, როგორც პარიზის მეცნიერებათა აკადემიას გაუგზავნეს და გასწორებულია ლილეს (ე. ი. დე-ლილის — გ. ზ.) მიერ.

უმთავრესად კი მასზე გამოხატულია ის პროვინციები, რომლებიც კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის მდებარეობენ და რომელთა შესახებ აქამდე ნაკლებად საიმედო ცნობები მოგვეპოვებოდა.

განსაკუთრებით გულმოდგინედაა დამუშავებული ცნობილი პროვინცია გეორგია (საქართველო), რისთვისაც გამოყენებულია გარკვეული წერილობითი მემუარები, რომელიც სოსრამ საბამ, გეორგიის პრინცმა მოამზადებინა.

ამ რუკაზე არის ბევრი დასახელებული პუნქტი, ისინი იმდენად სრულადაა მოცემული, რომ შეიძლება სხვა მასალა აღარ დაგვჭირდეს“.

ჰიუბნერის მოსაზრება კავკასიის რუკისა და, კერძოდ ამ რუკაზე საქართველოს ნაწილის სრულყოფილად ასახვის შესახებ იმის მაჩვენებელია, რომ სულხან-საბას კარტოგრაფიული მასალები დიდი სიზუსტითა და სისრულით იყო შესრულებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჰიუბნერი არ იტყოდა „განსაკუთრებით გულმოდგინედაა დამუშავებული ცნობილი პროვინცია გეორგიაო“.

დოც. გ. ზარდალიშვილი


Johann Hübners,
RECTORIS in HAMBURG,
MUSEUM
GEOGRAPHICUM,
Das ist:
Ein Verzeichniß der besten
Land-Charten,
so in
Deutschland, Franckreich, England
und Holland
von den besten Künstlern sind gestochen worden;
Nebst einem Vorschlage,
wie daraus
allerhand grosse und kleine
ATLANTES
können sortiret werden.
In Ordnung gebracht, und mit einigen
Anmerckungen erläutert,
von
J. H. J.
PRIVILEGIO.
Hamburg, verlegts Theodor Christoph Felginer.

სურათზე: ჰიუბნერის წიგნის გარეკანი.

## საიუბილეო დღეებში

* * *

მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლო რიცხვებში ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ქართველი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 300 წლისთავის იუბილე.

23 ოქტომბერს მწერალთა სასახლეში ჩატარდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სხდომა, მიძღვნილი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, სულხან-საბა ორბელიანის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი. მოსმენილი იქნა მოხსენებები: სულხან-საბა ორბელიანის მხატვრული პროზა (მომხს. მწერალი დემნა შენგელაია), სულხან-საბა ორბელიანი როგორც პოეტი (მომხს. პროფ. ალექსანდრე ბარამიძე), სულხან-საბა ორბელიანი როგორც ლექსიკოგრაფი (მომხს. პროფ. აკაკი შანიძე), სულხან-საბა ორბელიანი როგორც საზოგადო მოღვაწე (მომხს. პროფ. ვარლამ დონდუა).

* * *

25 ოქტომბერს ბოლნისის რაიონის მშრომელებმა თავიანთი თანამემამულის, დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერის, განმანათლებლის, გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავზე ბოლნისის რაიონულ ცენტრში მწერლის ძეგლისა და მისი სახელობის კულტურის სახლის გახსნის აღსანიშნავად გამართეს დიდი მიტინგი.

ზეიმში მონაწილეობა მიიღო ჩვენს რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა პოლონელ ჟურნალისტთა ჯგუფმა.

ამავე დღეს მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი გაიმართა მწერლის სამშობლო სოფელ ტანძიაში. მიტინგის დროს გაიხსნა მწერლის ძეგლი.



სურათზე: სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი მწერლის მშობლიურ სოფელ ტანძიაში.

## სულხან-საბა ორბელიანი რუსეთში

მე-18 საუკუნის პირველი ნახევარი ერთობ მძიმე ხანას წარმოადგენდა ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

მოწინავე ქართველებისათვის სავსებით ნათელი შეიქნა, რომ მოძალებული მტრის უკუსაგდებად და მშობლიური ქვეყნის გამოსახსნელად საჭირო იყო ქართველთა ერთობლიობა, ქართული სამეფო-სამთავროების გაერთიანება და მამულისმოყვარულთა მძლავრი ლაშქრის შეკრება, მაგრამ საქართველოს შინაური თუ საგარეო მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ჩვენი ქვეყანა მწვავედ განიცდიდა ფეოდალური მონარქიის შინაგანი დაშლის შედეგს. მოწინავე ქართველებს არ გააჩნდათ იმის ძალა, რომ გამთიშველთა საქმიანობა აღეკვეთათ, თავაშვებული დიდებულნი დაეთრგუნათ, ფეოდალური დაქუცმაცებულობისათვის ბოლო მოეღოთ და ცენტრალიზებული სახელმწიფო შეექმნათ. ეს იყო ქართველი ხალხის დიდი უბედურება. ამას ერთვოდა მეორე უბედურებაც: შინაბრძოლით დასუსტებულ ქართველობას მტერი შედარებით ადვილად ამარცხებდა და მის მამულს უმოწყალოდ არბევდა. მტერთან მრავალი წლის უთანასწორო ბრძოლამ ცხადყო, რომ ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოს თვით არ შეეძლო მაჰმადიანური გარემოცვისაგან თავის დაღწევა და ნახევრად ველური ურდოების უკუგდება. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, რომელიც შეძლებდა სათანადო დახმარების აღმოჩენას. ქართველებს კარგად ესმოდათ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა, ამიტომაც ორიენტაციის შერჩევის დროს რუსეთის სახელმწიფოს შინაგან ძლიერებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ამ პერიოდში წინა აზიის პოლიტიკურ არენაზე აქტიურად გამოვიდა რუსეთი. შეიქმნა ობიექტური ვითარება, რომელიც რუსეთისა და საქართველოს პოლიტიკური ინტერესების თანხვედრილობას იწვევდა. ქართველთა ორიენტაცია რუსეთზე სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდა. ქართლი მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევას და მოძალებული მუსლიმანური ბრბოებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, ხოლო რუსეთი კასპიის ზღვის სანაპიროზე დამკვიდრებას ლამობდა. რადგან ორივე ქვეყნის ინტერესები ერთობლივ მოქმედებას მოითხოვდნენ, პეტრე პირველის წინადადებას სპარსელთა წინააღმდეგ შეერთებული ძალით გალაშქრების შესახებ ქართლის მეფე ვახტანგ VI (1675 — 1737) სიხარულით შეხვდა და ჯარიც გამოიყვანა, მაგრამ მისი მიზანი განუხორციელებელი დარჩა.

რუსეთთან კავშირის დამყარებისათვის ვახტანგი სპარსეთის შაჰმა სასტიკად დასაჯა, ქართლი ჩამოართვა და კახეთის მმართველს კონსტანტინეს გადასცა.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტსა და მრავალტანჯულ სახელმწიფო მოღვაწეს ვახტანგ მეექვსეს ქართლში აღარ ედგომებოდა და რუსეთისაკენ გაეშურა მრავალრიცხოვანი ამალით. მას თან ეახლა მისი დიდებული აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანიც.

ვახტანგსა და მის აღმზრდელს ჯეროვნად ჰქონდათ გააზრებული არსებული ვითარება კარგად ესმოდათ, რომ რუსეთთან კავშირზე იყო დამოკიდებული საქართველოს მომავალი. ისინი საქართველოს განთავისუფლების, სამშობლოს ხსნის ნათელ პერსპექტივას რუსეთთან კავშირში ხედავდნენ. თავიანთი პოლიტიკური ორიენტაცია მათ საკუთარი ცხოვრების გზითაც დაადასტურეს, რუსეთისაკენ გაემგზავრნენ. იმ რთულ პერიოდში ეროვნული სახის შესანარჩუნებლად ეს იყო ერთადერთი სწორი გზა.

სულხან-საბა ორბელიანს ღრმად სწამდა ვახტანგ მეფის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური კურსის ცხოველმყოფლობა, მოსწონდა მისი არჩევანი და გზა. ევროპაში ყოფნამ სულხან-საბა დაარწმუნა, რომ რუსეთი იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო საქართველო ეხსნა სპარს-ოსმალთა მონობისაგან.

სულხან-საბა ორბელიანი იმდენად იყო გატაცებული რუსეთთან დაკავშირების იდეით, რომ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, შორ გზას არ შეუშინდა და თან ეახლა თავის აღზრდილს.

ვახტანგის ამალამ 1724 წლის ზაფხულზე რუსეთისაკენ გასწია.

ვახტანგის ამალის ნუსხით, „თავადიშვილი საბა, ამისი ძმა ზოსიმე, ორივენი მწირნი ბერნი“ მეფეს ხლებიან ერთი აზნაურითა და 5 მსახურით.

ქართველმა ლტოლვილებმა კავკასიონი გადალახეს და პირიქით მხარეს მიაშურეს, სოლაღისაკენ გასწიეს. გზაზე ჩრდილო კავკასიელმა ტომებმა მათ საკმაოდ დიდი ვნება მიაყენეს.

მთიელთა ძალადობას ვერც სულხან-საბა და მისი უმცროსი ძმები გადაურჩნენ, სოლაღის გზაზე ისინი ავაზაკებმა გაძარცვეს.

1724 წლის 31 აგვისტოს ვახტანგის ამალამ ხოლოს მიაღწია. სექტემბრის პირველ რიცხვებში ვახტანგმა თავისი პირველი წარმომადგენლები რუსეთის ცენტრისკენ, პეტერბურგისკენ გაგზავნა და რუს ხელმწიფეს წერილი აახლა.

12 სექტემბერს ვახტანგმა მოსკოვისაკენ გაისტუმრა უკვე ხაკმაოდ ჯანგატეხილი, მაგრამ დამსახურებული დიპლომატი სულხან-საბა და დარეჯან ბაგრატიონთან (1665 — 1740) გაატანა წერილი. როგორც ჩანს, ვახტანგსა და სულხან-საბას კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული დარეჯან არჩილის ასულის ავტორიტეტი, მისი ურთიერთობა რუსეთის სამეფო კართან, პეტრე პირველთან და იმედი ჰქონდათ, რომ მისი დახმარებითა და ხელისშეწყობით შეძლებდნენ დასახული მიზნის მიღწევას —ვახტანგისათვის პეტერბურგში ჩასვლისა და პეტრესთან გამოცხადების ნებართვის მიღებას.

სულხან-საბას მიჰქონდა წერილები პეტრე პირველთან და დარეჯან ბაგრატიონთან. საფიქრებელია, ვახტანგმა პეტრეს წერილი სულხან-საბას დარეჯანთან გაატანა, რათა ამ უკანასკნელს დანიშნულებისამებრ გადაეცა.

ასტრახანში სულხან-საბა ორბელიანს დღიურ ულუფად დაუნიშნეს 5 კაპიკი. როგორც ჩანს, ის ამით უკმაყოფილო დარჩენილა და უჩივლია. რუს ხელისუფალთ დაუზუსტებიათ მისი ვინაობა და შემდგომში (ცარიცინიდან) დღიურ ულუფად 25 კაპიკი დაუნიშნავთ, ამასთანავე გაუსწორებიათ ძველი ანგარიშიც.

1724 წლის 6 ნოემბერს სულხან-საბა და მისი მხლებლები მოსკოვს ჩასულან.

სულხან-საბა ორბელიანისათვის დარეჯანის სასახლე უკანასკნელი სადგომი აღმოჩნდა, შორი გზით დაღლილმა და დაქანცულმა მწერალმა იქ დალია სული 1725 წ. 26 იანვარს. მისმა საყვარელმა ძმამ, ზაალ-ზოსიმემ, დაიტირა მრავალჭირნახული მამულიშვილი და დარეჯან ბაგრატიონის დახმარებით მიაბარა ვსესვიატსკოეს მიწას.

დოც. ლ. მენაბდე

# ო. ვ. ნესმეიანოვა-კაპანაძე

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ამა წლის 26 ოქტომბერს გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, პერსონალური პენსიონერი, ჩვენი უნივერსიტეტის რუსული ენის კათედრის ყოფილი წევრი, ოლღა ვასილის ასული ნესმეიანოვა-კაპანაძე.



ო. ვ. ნესმეიანოვა-კაპანაძე დაიბადა 1877 წელს ქ. სუზდალში (ვლადიმირის ოლქი) მასწავლებლის ოჯახში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ 1904 წლამდე მუშაობდა სოფლის სკოლის მასწავლებლად. შემდეგ შედის ქ. მოსკოვის ქალთა უმაღლეს კურსებზე, რომელსაც ამთავრებს 1909 წელს. 1905—1908 წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებს რევოლუციურ მოძრაობაში. 1920 წელს იგი გადმოდის სამუშაოდ გაგრაში შრომის სკოლის მასწავლებლად. 1923 წლიდან ასწავლის რუსულ ენას ქ. ზესტაფონის სკოლებში. 1927 წლიდან განაგრძობს მასწავლებლობას ქ. სოხუმში. 1939 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით ო. კაპანაძეს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. 1937 წლიდან 1956 წლამდე ო. კაპანაძე რუსული ენის მასწავლებლად მუშაობს ჩვენს უნივერსიტეტში.

ო. კაპანაძე იყო ახალგაზრდობის აღზრდის საქმისათვის თავდადებული და დაუღალავი მუშაკი, მოწოდებით პედაგოგი, რომელიც თავის ამხანაგებს დაუზარებლად უზიარებდა თავისი ხანგრძლივი მუშაობის მდიდარ გამოცდილებას; იგი დამსახურებული ავტორიტეტით და სიყვარულით სარგებლობდა ამხანაგებსა და მოწაფეთა შორის.

მისი ხსოვნა წარუშლელი დარჩება მის მეგობართა და აღზრდილთა შორის.

**ამხანაგების ჯგუფი**

# მეგობრობის საღამო

...ლატვიელ ხალხს უყვარს თავისი ქვეყანა, მზიური, მდიდარი შრიალა ტყეებით, ძველი საგმირო სიმღერებით. ხალხი უმღერის ბედნიერ სამშობლოს...

„სიმღერა ლატვიაზე“ — ამით დაიწყო ლატვიის ახალგაზრდობის ანსამბლის საღამო კონცერტი ჩვენს უნივერსიტეტში.

ანსამბლს დირიჟორობს რესპუბლიკური პრემიის ლაურეატი დაუმანტ გაილისი. რეპერტუარში შედის ბევრი ხალხური და სხვადასხვა კომპოზიტორთა სიმღერები.

კომპოზიტორ ვიდოლსის „ბევერიანულმა სიმღერამ“ დარბაზში გულთბილი რეაგირება გამოიწვია. მელოდიაში პატრიოტული გრძნობითაა გადმოცემული, თუ როგორ ჩაუნერგა ხალხს სიმხნევე მშობლიურმა სიმღერამ განსაცდელის ჟამს. მისმა ცხოველმყოფელობამ, სიდიადემ იხსნა ხალხი ვერაგი მტრისაგან.

ფაქიზი გრძნობითაა გამსჭვალული „შექება ობოლი გოგონასი“, რომელსაც ბოიარის ვაჟი გადაეკიდებია და მოსვენებას არ აძლევს, უყვარს იგი, როგორც ლამაზი და შრომისმოყვარე...

მაღალი ოსტატობით შესრულდა საგუნდო სიმღერა ოპერიდან — „გაყიდული საპატარძლო“, „ძვირფასი, მშობლიური ხალხი“, „გადატეხილი ფიჭვი“, „სახუმარო“, „საცეკვაო“ და სხვ.

ანსამბლმა რუსულ ენაზე შეასრულა „ზამთრის დილა“.

...დარბაზში განსაკუთრებული სიჩუმეა. ისმის ქართული „არაგვის“ ტკბილი მელოდია, მღერიან თბილი, მეგობრული გულით... სასიხარულოა შორეული მეგობრების ასე დიდი ყურადღება ქართული მუსიკისადმი. ეს მეგობრობის ჭეშმარიტი გამოვლინებაა.

ასევე მაღალ მხატვრულ დონეზე შეასრულა ანსამბლმა მეორე ქართული სიმღერა „ბალში“.

დასასრულს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სახელით სტუმრებს მადლობა გადაუხადა ფილოლოგიის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა ლევან კაპილაძემ.

დირიჟორმა დაუმანტ გაილისმა მადლობა უთხრა დამსწრეებს გულთბილი შეხვედრისათვის და წარმატებები უსურვა.

**ანზორ ბარამია**



**სურათზე:** ლატვიის სსრ ახალგაზრდობის მომღერალთა ანსამბლი ჩვენი უნივერსიტეტის სცენაზე.

ფოტო ა. გემჯიანისა

## ნელი სალაძე — საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი

ქ. სოხუმში ჩატარდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში, რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენი ქალები. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებიც სპორტის ოსტატები ნ. სალაძე და ნ. ხერხეულიძე. დიდი წარმატება ხვდა წილად ბიოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს ნელი სალაძეს, რომელმაც დიდი სპორტული ალმაცლობით შეასრულა ყველა სავალდებულო და ნებისმიერი ვარჯიში. მან დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს 1959 წლის აბსოლუტური ჩემპიონის საპატიო წოდება ოსტატთა შორის. ნელის ყოველ გამოსვლას მაყურებელი მქუხარე ტაშით ხვდებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული თავისუფალი ვარჯიში, რომელიც არაჩვეულებრივი ვირტუოზული ტექნიკითა და შესრულების სილამაზით გამოირჩეოდა.

დიდ შეჯიბრებებში წარმატებებს გისურვებთ პატარა ქალო; გახსოვდეს, რომ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტულ სახელს იცავ!

**ა. ცქიტიშვილი,**

მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი..

## კომკავშირული შრომის ბრიგადამ მუშაობა განაახლა

დაიწყო ახალი სასწავლო წელი და ჩვენი უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კომკავშირული შრომის ბრიგადამ უკვე განაახლა მუშაობა, ჩვენ, ამ ბრიგადის წევრებმა, რომელთა შორის პირველკურსელებიც გაერთიანდნენ, ამასწინათ გავწმინდეთ სასროლი ტირი, რომელიც უნივერსიტეტის ეზოში მდებარეობს. ბრიგადის თვითეული წევრი მზადყოფნას გამოთქვამს შრომითი მონაწილეობა მიიღოს ყველაფერში, რაც კი ჩვენი ქალაქის კეთილმოწყობის საქმეს გამოადგება.

**ფრიდონ კვირიკაშვილი**

## კრიტიკოსის ახალი წიგნი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა და ბაზარზე იყიდება ჩვენი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის კათედრის დოცენტის, კრიტიკოს ტარიელ კვანჭილაშვილის ლიტერატურული წერილების კრებული.

კრებულში შესულია წერილები ჩვენი ლიტერატურის აქტუალურ და პრობლემატურ საკითხებზე: სოციალისტური რეალიზმის არსის შესახებ; იდეები და მხატვრულობა ლიტერატურაში; დადებითი და უარყოფითი გმირის შესახებ; ადამიანი პოეზიაში; ისტორიული თემა და სოციალისტური რეალიზმი („არსენა მარაბდელი“, „დიდოსტატის მარჯვენა“); მ. ჯავახიშვილის „თეთრი საყელოს“ იდეის მართებული გაგებისათვის; მასალების კრებული ვაჟა-ფშაველას შესახებ; ქართველი პოეტების ლექსები სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შესახებ; მოთხრობები უკვდავ ადამიანებზე; პოეტის პირველი წიგნი; რატომ ჩამორჩება კრიტიკა; პროზა ჟურნალ „ცისკრის“ პირველ სამ ნომერში; ლიტერატურის მთავარი ამოცანა ხალხის ინტერესების გამოხატვაა.

წიგნი, რომლის რედაქტორია როსტომ ბექანიშვილი, ჩასმულია მაგარ ყდაში და ღირს 4 მან. და 65 კაპ.

## დამთავრდა უნივერსიტეტის პირველობა ჭადრაკში

დამთავრდა ტურნირი უნივერსიტეტის 1959 წლის პირველობაზე ჭადრაკში ვაჟთა შორის.

უკანასკნელ ტურში ანზორ ხელაშვილს რომელიც მერაბ თხელიძეს ეთამაშებოდა, მხოლოდ მოგება აწყობდა, მაგრამ ისე ცუდად გაითამაშა დებიუტი, რომ პარტიის საყაიმო შედეგიც კი მიღწევად ჩათვალა და მან, უნივერსიტეტის შარშანდელმა ჩემპიონმა, პირველმა მიულოცა ახალ ჩემპიონს ღირსეული წარმატება.

თხელიძემ მართლაც რომ ღირსეულად დაიკავა პირველი ადგილი ტურნირში. იგი ტურნირის ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც არ უთქვამს პარტნიორებისათვის ესოდენ უსიამოვნო ფრაზა — თავს დამარცხებულად ვცნობ. ამას გარდა, ვერ დავასახელებთ ჩვენ ამ ტურნირში თუნდაც ერთ შემთხვევას, რომ მას წაგებული პოზიცია ჰქონოდეს. მართალია, მის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგეები ცალცალკე პარტიის შემდეგ ამტკიცებდნენ, თითქოს მოგებული პარტია შემთხვევით წააგეს, მაგრამ თხელიძე სწრაფად აჩვენებდა ვარიანტებს მათ და ისინიც იძულებული ხდებოდნენ ასეთი მტკიცებისათვის თავი დაენებებინათ.

დამარცხებული მოწინააღმდეგე დამმარცხებლის მიმართ არასდროს არ არის ობიექტური, მაგრამ მოხდა ისე, რომ თხელიძემ დაამარცხა ო. გამყრელიძე თუ არა, ამ უკანასკნელს წამოცდა — ასე ლამაზად არასდროს წამიგია პარტიაო. ლამაზია თუ არა ეს პარტია, განსჯა თვითონ მკითხველებისათვის მიგვინდვია. აი ეს პარტიაც:

**1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4 c3...**

თეთრებს ეს შეწირვა არაფერს აძლევს, თუ შავები სწორად ითამაშებენ.

**4.... d3.**

კარგი სვლაა. შავებს არ სურთ დაეხმარონ მოწინააღმდეგეს ფიგურების სწრაფ განვითარებაში.

**5. კ:d3 g6 6. კc4 კg7 7. 0—0 ლb6?**

აი ამ სვლამ წააგო პარტია. b6 უჯრაზე ლაზიერი ძალზე ცუდად დგას და მალე შეტევის ობიექტი ხდება. სჯობდა უბრალოდ და ბუნებრივად: 7... მc6 8. კe3 მf6 და შემდეგ როქი.

**8. მa3 მf6 9. კe3 ლc7 10. ლb3 0—0 11. e5!**

შეტევაზე გადასვლის ნიშანია. დააკვირდით რამდენი კონტრასტია შავებისა და თეთრების პოზიციას შორის. თეთრების ყველა ფიგურა მზადაა შეტევისათვის, მაშინ როცა შავების ლაზიერის ფრთა გაყინულია.

**11... de 12. მb5 ლa5 13. მg5 a6 14. მd6!**

იმუქრება 15. კb6.

**14... b5 15. კ:f7+ მფh8 16. მ:c8 ე:c8 17. კd5 მ:d5 18. ლ:d5 მc6 19. მf7+ მფg8 20. მh6++ მფh8 21. ლg8+ ეg8 22. მf7×**

სპორტის ყველა სახეობაში შეიძლება, რომ ძლიერმა სპორტსმენმაც წაიფორხილოს. სწორედ ასე მოუვიდა აშკარად უნივერსიტეტის შარშანდელ ჩემპიონს ანზორ ხელაშვილს, რომელიც შუა ტურნირში ძალზე მაგრად „დაეცა“, მაგრამ კი არ დაბნეულა და ხელი კი არ ჩაუქნევია უიმედოდ, არამედ მთელი ძალით დაედევნა წინ გაჭრილებს. ალბათ, თვითონაც კი ვერ წარმოედგინა უკანასკნელ ტურამდის, რომ დაკარგულის ანაზღაურებას შეძლებდა და პირველი ადგილისათვის ბრძოლაში კვლავ მიიღებდა მონაწილეობას. ხელაშვილი აქტიური პოზიციური სტილის მოჭადრაკეა, თამაშობს ღრმად, კარგი კომბინაციური ხედვა აქვს, მაგრამ კომბინაციებს, სამწუხაროდ, მხოლოდ მაშინ მიმართავს, როცა უჭირს.

არნშტეინი მთელი ტურნირის განმავლობაში პირველი ადგილის პრეტენდენტი იყო, მაგრამ ფინიშზე რამდენიმე კურიოზული შეცდომა დაუშვა. ბიბინეიშვილთან მოგებულ პოზიციაში გადადო პარტია, მაგრამ გამოირკვა, რომ მას შეუძლებელი სვლა ჩაუწერია და წაგება მიესაჯა. მეორე დღეს ავად გამხდარა, მაგრამ მსაჯს არ შეატყობინა, რის გამოც ელგუჯა ბელქანიასთან გადადებულ რთულ პოზიციაშიც წაგება ჩაეთვალა.

საერთოდ, რა შეიძლება ითქვას არნშტეინის თამაშზე? — პოზიციის გამარტივებისაკენ მისწრაფება, ზედმეტი სიფრთხილე კვეცავს მის შესაძლებლობებს.

დიდი წარმატება მოიპოვა ტურნირის ერთადერთმა მეორეთანრიგოსანმა ჯემალ ბიბინეიშვილმა, რომელმაც არნშტეინთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო და პირველი თანრიგის ნორმას ორნახევარი ქულით გადააჭარბა. მიუხედავად ამ წარმატებისა, მაინც უნდა ითქვას, რომ ბიბინეიშვილი ძალზე მოისუსტებს სტრატეგიულ თამაშში, აკლია თეორიული მომზადებაც.

ელგუჯა ბელქანია, რომელმაც მე-5 ადგილი დაიკავა არ უნდა იყოს უკმაყოფილო თავისი შედეგით. თუმცა კი ლაპარაკობს,—რამდენიმე პარტია დაუმსახურებლად წავაგეო, მაგრამ თვითონაც ხომ მიიღო რამდენიმე ქულა დაუმსახურებლად (მაგალითად, ქორქოლაძესთან ან არნშტეინთან)! ჭადრაკში, საერთოდ, ასეა: ხან ერთი შეცდება, ხან მეორე.

გაცილებით უკეთესად შეეძლო ეთამაშნა ჯახუტაშვილს, რომელმაც ბოლო ტურში გაუთვალისწინებლად წააგო პარტია ვეშაპიძესთან.

გამყრელიძეს და მესხიასაც შეეძლოთ უკეთესად ეთამაშათ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათთვის ეს ტურნირი პირველი სერიოზული ტურნირი იყო და მათი წარუმატებლობა უფრო გამოუცდელობას უნდა მიეწეროს, ვინემ თამაშის ძალას.

რა შეიძლება ითქვას ტურნირის დანარჩენ მონაწილეებზე. ზოგ მათგანს გამოცდილება არ ეყო, ზოგს — ძალა, ზოგს კიდევ არ აღმოაჩნდა პასუხისმგებლობის გრძნობა. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, მებონია, რომელიც წარუმატებელი სტარტის შემდეგ მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რომ რაც შეიძლება ჩქარა მოეცილებინა ეს ტურნირი თავიდან.

ტურნირის ტექნიკური შედეგები ასეთია.

პირველი ადგილი დაიკავა მ. თხელიძემ (12,5 ქულა), II — ა. ხელაშვილმა (11,5 ქულა), III — IV ადგილები გაინაწილეს ვ. არნშტეინმა და ჯ. ბიბინეიშვილმა (10,5 ქულა თვითეულმა).

ამ თხზმა მოჭადრაკემ მოიპოვა უფლება ქალაქის პირველობის ნახევარფინალში თამაშისა.

შემდეგი ადგილები ასე გაანაწილდა — V ადგილი წილად ხვდა ბელქანიას (10 ქულა), VI — ჯახუტაშვილს (9,5 ქულა), VII — გამყრელიძეს (9 ქულა), VIII — მესხიას (8,5 ქულა), IX — X—ვეშაპიძესა და მეგრელიშვილს (7,5 ქულა თვითეულს), XI — ლობჟანიძეს (6 ქულა), XII—XIII — მებონიასა და პოკლებას (4 ქულა თვითეულს), XIV—ალანაკიანს, (3,5 ქულა), XV — ემიშიანს (3 ქულა), XVI — კონკურსგარეშე მონაწილე თ. ქორქოლაძეს (2,5 ქულა).

პირველ სამ ადგილზე გამოსული მოჭადრაკეები დაჯილდოვდებიან უნივერსიტეტის სპორტკლუბის პრიზებით.

ჩვენი გაზეთის რედაქციის მიერ დანიშნული პრიზი უკანასკნელ ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის დაისაკუთრა ა. ხელაშვილმა, რომელმაც ფინიშზე 4,5 ქულა მოაგროვა.

**თამაზ კიკიანი**

რედაქტორი **ნ. ვეშაპიძე**

რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტელეფონი 9-28-34.

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა. ი. ჭავჭავაძის გამზირი, № 1. ტირაჟი 2 000. უე 03740.